სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/86

ქ. თბილისი

15 ივლისი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-04/71 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად, სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის 2021 წლის 14 ივლისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის №01-05-02/17 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოთხოვნილი უცხო ენის C 1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატის ნაცვლად სავალდებულოა კონკურსანტმა წარმოადგინოს უცხო ენის B 2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ან გაიაროს ენის ცოდნის დამდგენი ტესტირება B 2 დონეზე სტუ-ის საგამოცდო ცენტრში, ან გასაუბრების ეტაპზე ჩაატაროს შესაბამის უცხო ენაზე სავალდებულო ლექცია.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. ბურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**